საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

კალმახი

კალმახი (Salmo trutta fario Linnaeus, 1758), თევზი, მიეკუთვნება ორაგულისებრთა ოჯახს (Salmonidae Cuvier, 1815), ორაგულთა გვარს (Salmonidae Cuvier, 1815), მაქსიმალური სიგრძე 40 სმ-ია, მასა – 500 გ. ცოცხლობს 12 წლამდე. ბინადრობს მთის ჩქარი და ცივი მდინარეების ზემო დინებაში. სქესობრივად მწიფდება 2–4 წლის ასაკიდან. მრავლდება სექტემბრიდან თებერვლამდე, უმეტესად ოქტომბერ-ნოემბერში. ქვირითს ყრის მდინარის ჩქარი დინების თხელწყლიან, ქვა-ქვიშიან ადგილებში; ნაყოფიერება 200–2000 ქვირითია. იკვებება ბენთოსით, წყალში ჩაცვენილი მწერებით, ბაყაყებით, წვრილი თევზებით და ქვირითით. საქართველოში გავრცელებულია ყველგან – ტბებსა და მთის მდინარეებში, იშვიათად – ბარის მდინარეებშიც, მტკვარში – ტაშისკართან მდ. ოკამამდე და ზევით; მდ. მტკვრის შენაკადებში: ხრამში, არაგვში (საგურამოდან ქსნამდე), ლიახვში, ბორჯომულაში, ფოცხოვისწყალში, ახალქალაქისწყალში, ალაზანსა და მის შენაკადებში, ჭოროხში; წყალსაცავებში (ხრამის, თბილისის, სიონის). საქართველოს ფარგლებს გარეთ გვხვდება ბალტიის, თეთრი, კასპიის, შავი და აზოვის ზღვების აუზებში; დას. ევროპაში; მურმანსკიდან ხმელთაშუა ზღვამდე, ბალკანეთში; მცირე აზიაში, მაროკოში, ირანში. კ. მნიშვნელოვანი სარეწაო თევზია, დღეისათვის გამოიყენება სატბორე მეურნეობასა და სპორტულ მეთევზეობაში. შეტანილია „საქართველოს წითელ ნუსხაში". ბუნების დაცვის საერთაშ. კავშირის (IUCN) მხრიდან არ არის შეფასებული (NE).

ლიტ.: ნ ი ნ უ ა ნ., ჯ ა ფ ო შ ვ ი ლ ი ბ., ბ ო ჭ ო რ ი შ ვ ი ლ ი ვ., საქართველოს თევზები, თბ., 2013; Э л е н и д з е Р., Ихтиофауна рек и озер Грузии, Тб., 1983.

ნ. ნინუა

ქართული კალმახი